

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი

21.12.2020

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ზურა კუკულავა, ზაალ სანაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კარლო კვიციანიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ გააკეთა განმარტება, რომ დღის წესრიგში შევიდა ცვლილება და კომისიას დამატებით საკითხად დაეწერა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო შეცვლილი დღის წესრიგის პროექტი:

1., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

2., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა შეცვლილი დღის წესრიგის პროექტს;
მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი თქმით, საკრებულოს შენიშვნები და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტში მაქსიმალურად აისახა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას,

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ. მან აღნიშნა, რომ ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის, რომელიც ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: ამირან გიგინეიშვილი (საკრებულოს წევრი) მდივანი: ელიკო იმნაძე (მერიის განყოფილების გამგე) ალექსანდრე მახათაძე (საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე) იოსებ ჩხაიძე (საკრებულოს წევრი) ეკატერინე გუჯაბიძე (მერის მოადგილე) მაია აფხაზავა (მერიის განყოფილების გამგე) თორნიკე ჯიჯიეშვილი (ჟურნალისტი, გაზეთი „ჰო და არა“) მაია კუპატაძე (საკრებულოს აპარატის თანამშრომელი) მერაბ ჩხაიძე (პარლამენტის ყოფილი წევრი) ქეთი წილოსანი (საზოგადოებრივი აქტივისტი) დარეჯან ბურჭულაძე (საზოგადოებრივი აქტივისტი) ეთერ ჭყონია (ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი) მაკა გოგიჩაიშვილი (პარლამენტის წევრის ბიუროს უფროსი). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის, „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით. ამ საკითხებს ეხება არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო გეგმა, მათ შორის ღია მმართველობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგი 2017-2020, მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად

2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020. დოკუმენტი მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოსა და მექანიზმების შექმნას 2020 წლამდე, “რომელიც მიმართული იქნება გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვისკენ, დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და იქნება ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული. 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით, გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების 5 გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის თვალსაზრისით საჭიროებები საზოგადოების ყველა ფენას გააჩნია. სწორედ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობის გასაზრდელად შემუშავდა აქ წარმოდგენილი სტრატეგია, რომლის მიზანია: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში, არასამთავრობო სექტორთან და მასმედიის საშუალებებთან ერთად ერთობლივი პროგრამების განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალეობისა და სანდოობის გასაზრდელად, ელექტრონული სერვისების მრავალფეროვნებისა და მიღწევადობის უზრუნველყოფა, სასოფლო დასახლებათა მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის ლობირება; მერიისა და საკრებულოს შენობების ადაპტირება შესაბამისი პირობებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და საბავშვო ეტლიანი დედების გადაადგილებისთვის, თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ანგარიშგების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება, საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებში, მონაწილეობითი სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვა, დასახლების საერთო კრებების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის ინიციატივით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყემაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მომართა სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2020 წლის 1 ოქტომბრის N5/56984 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში არსებული უძრავი ქონება სკვერი (ს/კ 27.15.52.679) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ იუსტიციის სახლისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ჩატარდა მოკვლევა, რომლის ფარგლებში, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა წარმოადგინეს ინფორმაცია, რომ 27.15.52.679 საკადასტრო კოდზე არსებულ ქონებას აღარ აქვს ძირითადი ქონების სტატუსი, ვინაიდან იქ ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებს სკვერი.

ისინი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ადგილას უმჯობესია განთავსდეს ოუსტიციის სახლი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ შედგენილი იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩხეიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

/ გიორგი ჩხეიძე /

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №12

21.12.2020 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

2., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

3., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

4., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

5., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

6.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთია.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთია.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მისიარულეზით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთია.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისათვის თანამუშაის მიცემის შესახებ“ ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთია.

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
 ფურცელი

21.12. 2020 წელი
 11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10:55	ვ. ს.
2	ზაზა წულაძე	10:50	ვ. ს.
3	კარლო კვიციანიშვილი	სი დასწრეობა	ვ. ს.
4	ალექსანდრე მახათაძე	10:55	ვ. ს.
5	ზაალ სანაძე	10:55	ვ. ს.
6	ოთარ პატიეშვილი	10:55	ვ. ს.
7	ზურაბ კუკულავა	10:55	ვ. ს.
8	ირაკლი მარშანიშვილი	სი დასწრეობა	ვ. ს.
9	გოგი მორჩილაძე	სი დასწრეობა	ვ. ს.